სსიპ ანაკლიის ღრმაწყლოვანი
ნავსადგურის განვითარების
სააგენტო

ბამბის რიგი №7
0105 თბილისი, საქართველო
info@anaklia.gov.ge

10/დეკემბერი/2025

N: ADA-48

საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, გამოქვეყნების მიზნით, წარმოგიდგენთ სსიპ „ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოს“ 2025 წლის ანგარიშს, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- **საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობა და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა;**

  სსიპ „ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოში“ (შემდგომში „სააგენტო“) შემოსულია 1 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ. აღნიშნული განცხადების ფარგლებში, მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე სააგენტოს მიერ გადაწყვეტილება არ მიღებულა. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით სააგენტოში განცხადება არ შემოსულა.

- **მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობა;**

  სააგენტოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მიღებულია სულ 1 გადაწყვეტილება, მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ - არცერთი. გადაწყვეტილების მიმღები პირი - სააგენტოს დირექტორის მოადგილე, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი - ქეთევან გოგუა.

- **საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა და სხვისთვის გადაცემა;**

სააგენტოში პერსონალური მონაცემების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა.

- **საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზაკ-ის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადება;**

სააგენტოს საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზაკ-ის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების ფაქტს სააგენტოში ადგილი არ ჰქონია;

- **ის საკანონმდებლო აქტები, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას;**

სააგენტოს მხრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმას ადგილი არ ჰქონია.

- **საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება;**

სააგენტოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

- **საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხები.**

სააგენტოს მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები სააგენტოს არ დაკისრებია.

პატივისცემით,

დავით ჯავახაძე
დირექტორი